საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№155 2020 წლის 24 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მწერალთა სახლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – მწერალთა სახლმა 2020 წლის განმავლობაში, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს:

ა) საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე საქართველოს ეროვნული სტენდებითა და ლიტერატურულ-კულტურული პროგრამებით

მონაწილეობასთან, ავტორებისთვის, ილუსტრატორებისთვის, გამომცემლებისთვის, მთარგმნელებისა და რედაქტორებისთვის პროფესიული სემინარების ორგანიზებასთან, სხვადასხვა საერთაშორისო ლიტერატურულ თუ საგამომცემლო ღონისძიებაში ქართველი მწერლების, მთარგმნელების, ილუსტრატორებისა და გამომცემლების სარეზიდენციო პროგრამების განხორციელებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების განვითარების მიზნით ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV – 92300000 – გასართობი მომსახურებები; CPV – 63500000 – ტურისტული სააგენტოების, ტურ-ოპერატორებისა და ტურისტების დახმარების მომსახურებები; CPV – 79900000 – სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვა;

ბ) 2020 წლის განმავლობაში „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოსაქვეყნებელი ლიტერატურული ნაწარმოებების (პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, ესსე, თარგმანები, მოგონებები, კრიტიკული წერილები და ა.შ.) (CPV – 92300000 – გასართობი მომსახურებები; CPV – 92310000 – ხელოვნებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნა და ინტერპრეტირება) სახელმწიფო შესყიდვა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**